ხაშურის მოამბე

№30(354) 15 აგვისტო, ორშაბათი, 2022 წელი

პატივი მიაგეს გმირების ხსოვნას

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერის მოადგილემ ზვიად ქურდაძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლევან გამრეკელმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე საქართველოს პარლამენტის წევრის ხაშურის ბიუროს წარმომადგენლებმა და მუნიციპალიტეტის სტუმრებმა - გორის

საკრებულოს წევრებმა2008 წლის აგვისტოს ომის გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს გმირთა საფლავები. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის კავალერი -კაპრალი დავით ბლიაძე ქვიშხეთშია დაკრძალული, კაპრალი ზაურ მახარაშვილი, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ მედალი "მხედრული მამაცობისთვის" გადაეცა,მისი მშობლიური სოფლის - ოსიაურის სასაფლაოზე განისვენებს, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერმა კაპრალმა გიორგი წიქარიშვილმა კი სამუდამო განსასვენებელი თბილისის ძმათა სასაფლაოზე ჰპოვა.

გვირგვინებით შეიმკო ხაშურში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მებრძოლების ხეივანში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის სამშვიდობო მისიებსა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული გმირების ხსოვნის მემორიალი და შინდისის ბრძოლის მემორიალი, სადაც 2008 წლის 11 აგვისტოს, საქართველოს შეიარღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეული უთანასწორო ბრძოლაში ჩაება რუსულ მოტომსროლელ ასეულთან. 17-მა ქართველმა მებრძოლმა მტერს წინააღმდეგობა ბოლომდე გაუწია და გმირულად დაიღუპა.

"ქართველი ხალხი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მუდმივად იბრძოდა თავისუფლებისთვის. ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება. აგვისტოს ომის გმირების სიმამაცე და თავდადება სამაგალითოა თითოეული ჩვენგანისა და მომავალი თაობებისთვის", - აღნიშნა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ექიმები გენდერული თანასწორობის კამპანიაში ჩაერთვნენ

6 აგვისტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სხდომა გაიმართა, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ ცნობილი ექიმები, რომლებმაც საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია ყველაზე გავრცელებულ დაავადებებზე, მკურნალობის გზებსა და პრევენციაზე. ასევე დაწვრილებით განუმარტეს მოსახლეობას, როგორ დავიცვათ თავი ცრუ ინფორმაციისგან.

საინტერესო პრეზენტაციები წარმოადგინეს თბილისის „გულის ცენტრის" კლინიკის და კლინიკა „კარდიოს" წამყვანმა კარდიოლოგმა პაატა ქავთარიამ, კლინიკა „ენმედის" და „ევექსის" ქსელის ანგიოქირურგმა ბესარიონ კვიცარიძემ, უროლოგიის ეროვნული ცენტრის საოპერაციო განყოფილების ხელმძღვანელმა, საქართველოს ახალგაზრდა უროლოგთა ასოციაციის დამფუძნებელმა შალვა მშვილდაძემ, ინფექციონისტმა მაია ციცქიშვილმა, ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ექიმ-რეზიდენტმა სალომე ნადირაშვილმა, „ევექსის" ჰოსპიტალების ქსელის შინაგანი მედიცინის ექიმ-რეზიდენტმა საბა ჭავჭავაძემ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო სერვისების წვდომაზე გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარებული კვლევის შესახებ ისაუბრა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თათია ბროლიძემ, რომელმაც გამოკვეთა ინფორმაციის ნაკლებობა ჯანდაცვის სერვისების პროგრამებზე და გზამკვლევის შედგენის

აუცილებლობა.

სხდომას უძღვებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოსა და საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და საკრებულოს წევრი, ექიმი მაყვალა მაისურაძე.

ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფელ ცოცხნარამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ასფალტის საფარის დაგება, მილ-ხიდებისა და სანიაღვრეების მოწყობა. გარდა ამისა,დაიდგმება და დაიხაზება საგზაო ნიშნები.

სამუშაოები ითვალისწინებს სოფელ ცოცხნარამდე და ქემფრამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციას.

პროექტი გარდამავალია - ცოცხნარამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის შემდეგ ქემფრამდე მისასვლელი გზა მოეწყობა.

სამუშაოები ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 4 599 999 ლარს შეადგენს.

სოფელ ცოცხნარამდე მისასვლელი გზის კეთილმოწყობა პირველად ხორციელდება. სამუშაოების დასრულების შემდეგ მოსახლეობა კომფორტული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20, 21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28)

სავაგონო დეპოს შემდუღებელმა სოლომონ კილასონიამ, რომელმაც 22 ივნისს ვალდებულებად აიღო ყოველდღიური გეგმის 400 პროცენტით შესრულება, უკვე 23 ივნისს 1400 პროცენტით შეასრულა გეგმავალდებულება, 25 ივნისს კი – 1575 პროცენტით. მას არ ჩამორჩა ზეინკალი თ. შარიქაძე, რომელმაც 23 ივნისს გეგმა 918 პროცენტით, ხოლო 25 ივნისს 1387 პროცენტით შეასრულა. ყოველდღიური დავალების წარმატებით ასრულებდნენ ზეინკალი გ. აბუაშვილი, ეროს დამრტყმელი არჩ. გელაშვილი, გოგორწყვილების ოსტატი სულეიმანაშვილი, მჭედელი ბ. კალმახელიძე დურგალი ს. ელიაშვილი და სხვები. 25 ივნისს, დურგალმა ს. ელიაშვილმა გეგმა 462 პროცენტებით, ხოლო მჭედელმა ბ კალმახელიძემ 612 პროცენტით შეასრულა. 26 ივნისს, სოლომონ კილასონიამ 126 საათის სამუშაო 8 საათში შეასრულა. ხაშურის რკინიგზის სადგურის მუშა-მოსამსახურეებმა ვალდებულება აიღეს საუკეთესოდ მომსახურებოდნენ რკინიგზის ტრანსპორტს. 23 ივნისს გეგმა 180 პროცენტებით, 24 ივნისს, 150 პროცენტით, ხოლო 25 ივნისს 180 პროცენტით შეასრულეს.

ასეთივე შრომითი აღმავლობა იყო საორთქლმავლო დეპოში. მჭედელმა ა. მჭედლიშვილმა გეგმა 331 პროცენტით შეასრულა, ზეინკალმა დ. ღონღაძემ და ბარნაძემ 247 პროცენტით, მექვაბე აბულაძემ 153 პროცენტით, მეთუნუქე დიდებულიძემ 240 პროცენტებით, ზეინკალმა ჩიტაძემ და გოგალაძემ 318 პროცენტით, მემანქანეებმა გუდაძემ და ხუციშვილმა დეპოს მაზუთის ეკონომია მისცა და სხვა. ი. ბ. სტალინის გამოსვლამ რადიოთი, 3 ივლისს, კიდევ უფრო მეტი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ხაშურში. 4 ივლისს დღიური დავალება საორთქლმავლო დეპოში კომპლექსურმა ბრიგადამ 167, მექვაბეთა საამქრომ 186 და დამხმარე საამქრომ 259 პროცენტით შეასრულა. საუკეთესოდ მუშაობდნენ მემანქანეები: ბათიევი, ტუროვი, ნ. კიკნაძე, ვ. ხუროშვილი და სხვები. ივნისის მესამე დეკადაში მათ დაზოგეს რამდენიმე ათასი კოლოგრამი მაზუთი. საუკეთესო მაჩვენებლებს იძლეოდნენ საელმავლო ბრიგადები, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იყვნენ გადასულები და მუშაობაში ფართოდ იყენებდნენ სახელგანთქმული მემანქანის-ლუნინის მეთოდებს. ხაშურელმა ლუნინელმა მემანქანეებმა ომის დაწყების პირველ თვეებშივე ქვეყანას მისცეს 55 647 მანეთის ეკონომია. მოწინავეთა შორის იყვნენ ვ. ფრანჩუკის ბრიგადა, რომელმაც მიაღწია 11459 მანეთის ეკონომიას. ნ. კახურაშვილმა, გ. ამბოკაძემ და ვ. მიქაძემ, რომლებიც ერთ ბრიგადას შეადგენდნენ, 5197 მანეთი დაზოგეს, 2289 მანეთი დაზოგა იმ ბრიგადამ, რომელშიც შედიოდნენ გ. მეგრელიშვილი, გ. ჩიტიაშვილი და ა. ფცქიალაძე.

საელმავლო დეპოს ლუნინელმა მემანქანეებმა მოწონელიძემ, ბირკაძემ, გელაშვილმა, ღონღაძემ და ფიჩხაძემ პერიოდული გასინჯვიდან ელმავლის გამოშვებაზე 45 პროცენტით ნაკლები დრო დახარჯეს, ვიდრე საჭირო იყო.

ზეინკლებმა: დიდებულიძემ, მ. ხაჩიძემ, ხარატმა კუჭაიძემ და სხვებმა ორმაგად და სამმაგად შეასრულეს დღიური დავალებები.

ხაშურში ფართოდ გაიშალა მოძრაობა თავდაცვის სახალხო ფონდში თანხების მოზიდვისათვის. დღითიდღე იზრდებოდა ფონდში მოსახლეობის მიერ შეტანილი სახსრების რაოდენობა. რაიონის კოლმეურნეებს ფონდში შეჰქონდათ შრომა-დღეების ღირებულება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მუშა-მოსამსახურეებს ერთი, ორი, სამი დღის ხელფასი, ძვირფასი ნივთები, სახელმწიფო ობლიგაციები.

26 აგვისტოსთვის რაიონის მოსახლეობას თავდაცვის ფონდში შეტანილი ჰქონდათ 472 ათასი მანეთის ობლიგაციები, 62 ათასი მანეთი ნაღდ ფულად, 55 ათასი მანეთი გადარიცხვით, აგრეთვე 604 გრამი ვერცხლი.

თავდაცვის სახალხო ფონდში შეიტანეს მოქალაქე ადენიჩამ ვერცხლის პორტსიგარა, წონით 150 გრამი, მასწავლებელმა სარგო გრიგოლის ძე ჩარექოვმა ვერცხლის სხვადასხვა ნივთები (154 გრამი), ლოლა კალანდაძემ ოქროს ბეჭედი, გურამ არჩილის ძე აბრამაშვილმა ოქროს ბროში, ხაშურის შემნახველი სალაროს თანამშრომლებმა – ანიკო გოგოლაძემ 3145 და ნიკოლოზ ნამგალაძემ 2335 მანეთის ობლიგაციები. ხაშურის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ალექსანდრა გოგოლაძემ – 3680 მანეთის ობლიგაციები და 100 მანეთი ნაღდი ფული.

სახელმწიფო ბანკის ხაშურის განყოფილების თანამშრომლებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 900 მანეთი ნაღდი ფული, ამავე დროს გადაწყვიტეს, ყოველთვიურად შეეტანათ ერთი დღის ხელფასი, რაც 358 მანეთს შეადგენდა.

მეხუთე სალიანდაგო დისტანციის მუშა-მოსამსახურეებმა თვადაცვის ფონდში ჩარიცხეს თავიანთი ერთი დღის ხელფასი – 3578 მანეთი, საელმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეებმა 1859 მანეთი და სხვა.

აგვისტოს თვეში ხაშურის რაიონის მოსახლეობამ ინდივიდუალური წესით შეიტანა 5.516.500 მანეთი ნაღდი ფული.

17 აგვისტოს მოეწყო სრულიად საკავშირო „კომკავშირული კვირაობა“, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ხაშურის რაიონის მუშა-მოსამსახურეებმა და კოლმეურნე ახალგაზრდებმა. სამუშოად გამოვიდა 600-მდე ახალგაზრდა. მარტო ხაშურის ახალგაზრდობამ ამ დღეს 5 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულა, გამომუშავებული თანხა შეიტანეს თავდაცვის ფონდში.

სავაგონო დეპოს ახალგაზრდებმა მათზე გაპიროვნებულ სამუშოს შესრულებასთან ერთად, დაასუფთავეს დეპოს ტერიტორია და 15 ტონა შავი ლითონი შეაგროვეს. საწარმოო დავალებები საუკეთესოდ შეასრულეს: სერგო შარიქაძემ, წვერიანაშვილმა, სიხარულიძემ და სხვებმა.

ამ დღეს კარგად იმუშავეს ელდეპოელებმაც. მათ 600 მანეთი გამოიმუშავეს და თავდაცვის ფონდში გადარიცხეს. კომკავშირელმა ზეინკალმა ცხოვრებაშვილმა საწარმოო დავალება 593 პროცენტით შეასრულა და 58 მანეთი გამოიმუშავა.

„კომკავშირული კვირაობა“ მოეწყო 7 სექტემბერსაც. „კვირიაობის“ მონაწილეთა უდიდესი ნაწილი რკინიგზაზე მუშაობდა. მარტო ერთ უბანზე სამუშაოდ გამოვიდა 1680 კაცი, მათ შორის 900-მდე კომკავშირელი. ამ უბანზე გამომუშავებულ იქნა 10.143 მანეთი, რაც გადაირიცხა თვადაცვის ფონდში.

რკინიგზის მე-10 საშუალო სკოლის 68 მასწავლებელმა და მოსწავლემ პეტრე კაპანაძის ხელმძღვანელობით 936 მანეთის სამუშაო შეასრულა. „კვირაობაში“ აქტიურად იყვნენ ჩაბმულები ელდეპოს, ენერგომომარაგების 1-ლი უბნის და სხვა საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები. მარტო ელდეპოში მოწყობილ „კვირაობაში“ 118 კაცი მონაწილეობდა. მათ 1090 მანეთის სამუშაო შეასრულეს. დ. გელაშვილმა ამ დღეს 31 მანეთის სამუშაო შეასრულა, მონტიორებმა ლურსმანაშვილმა და დავითაძემ 68 მანეთი გამოიმუშავეს. საამქრომ, რომელსაც ოსტატი ლ. ქვირია ხელმძღვანელობდა, დაამზადა მუშაობისთვის ყოველდღიურად საჭირო ნაწილების საკმაო მარაგი. მუშაობისთვის ყოველდღიურად საჭირო ნაწილებისა. გაუზგელტერის ოსტატმა დ. ცხოვრებაშვილმა 80 მანეთი გამოიმუშავა, ხარატმა კუჭაძემ კი 625 პროცენტით შეასრულა საწარმოო დავალება. მთელი გამომუშავებული თანხა შეტანილი იქნა თავდაცვის ფონდში.

სექტემბრის დასაწყისში ჩატარდა ხაშურის მუშა-მოსამსახურე და დიასახლის ქალთა საქალაქო შეკრება, რომელსაც 800-ზე მეტი ქალი ესწრებდა. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ქალები, რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ელ. ჩიკვაიძე, ელდეპოს მუშა-მოსამსახურე დიასახლის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე მარი კაკაბაძე, ენერგომომარაგების I უბნის თანამშრომელი ინჟინერი ვარ. ბოცვაძე, დიასახლისები: მარო გაჩეჩილაძე და ქრისტინე გელაშვილი. მათ მხარდაჭერა გამოუცხადეს ახალციხელ ქალთა ინიციატივას.

„ხაშურელი პატრიოტი ქალები, - ნათქვამია შეკრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში,– ვიქნებით თავდაცვის სახალხო ფონდის აქტიური მონაწილენი, ვკისრულობთ ვალდებულებას, დაუყოვნებლად შევუდგეთ წითელი არმიის გმირი მეომრებისათვის საზამთრო თბილი წინდების, ხელთათმანების, პირსახოცების და სხვათა დამზადებას.

გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვების დროშას – მშობლიურ სტალინს!”.

ხაშურის რაიაღმასკომის მოსამსახურეებმა 2880 მანეთის თბილი ტანსაცმელი და თეთრეული დაამზადეს ხაშურის ლიმონათის ქარხნის მუშა- ქალებმა აგვისტოს თვეში ყველა დასვენების დღე იმუშავეს და გამომუშავებული თანხა - 1995 მანეთი, გადარიცხეს თავდაცვის ფონდში. მათი გადაწყვეტილებით სექტემბრის თვეში ორჯერ მოწყობილი კვირაობიდან შემოსული თანხით უნდა შეეძინათ თბილი ტანსაცმელი ფრონტზე გასაგზავნად.

ამავე ქარხანაში მომუშავე ქალებმა გადაწყვიტეს დაუფლებოდნენ მამაკაცთა პროფესიას. დარო ფოფხაძე, შურა ლომიძე, თამარ კალმახელიძე, ოლია ჩუბინიძე, ალიბეგაშვილი, ჯოჯიშვილი და ნატა გოგოლაძე. ეუფლებოდნენ ქარხანაში არსებულ ყველა სპეციალობას, რათა უზრუნველეყოთ დამოუკიდებლად ქარხნის მუშაობა.

ელდეპოს მუშა-მოსამსახურეებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს წითელი არმიის მებრძოლებს. მარტო ექვსმა საელმავლო ბრიგადამ თავდაცვის ფონდში შეიტანა 12329 მანეთი, ხოლო 151 მუშა-მოსამსახურემ 3285 მანეთის თბილი ტანსაცმელი და თეთრეული ჩააბარა წითელი არმიისთვის გასაგზავნად.

თბილი ტანსაცმლისა და თეთრეულის დამზადებასა და შეგროვებაში აქტიურად მონაწილეობდნენ რკინიგზელთა ოჯახის წევრები. დიასახლისებმა: გაჩეჩილაძემ, ჭიპაშვილმა, კაკაბაძემ, გოგიბერიძემ, მეტრეველმა და სხვებმა დაამზადეს რამდენიმე ათეული ზეწარი, საცვლები, წინდები, სვიტრები და სხვა. რკინიგზის კლუბთან არსებულმა ჭრა-კერვის სკოლის ხელმძღვანელმა მარიამ ეროტაძემ უსასყიდლოდ შეუკერა დიასახლის ქალებს წითელარმიელებისათვის გასაგზავნი თეთრეული – 15 პერანგი, 20 ზეწარი, 100-მდე ცხვირსახოცი და სხვა.

ჯანმრთელობის განყოფილების თანამშრომლებმა სამი ათასი მანეთის თბილი ტანსაცმელი და თეთრეული შეიძინეს წითელი არმიისათვის გასაგზავნად. შახელდობრ, შეიძინეს 15 წყვილი საცვალი, 15 წყვილი ტყავის ხელთათმანი, 15 ზეწარი, 15 კალმისტარი, 15 ტყავის ქუდი, 15 წყვილი “ვალინკები” და 115 პირსახოცი. მათვე თვადაცვის ფონდში 1950 მანეთის ობლიგაციები შეიტანეს

29 სექტემბრისთვის რაიონის მუშა-მოსამსახურეებს, კოლმეურნეებს, მოწაფეებს და დიასახლისებს დამზადებული და ჩაბარებული ჰქონდათ 2177 წყვილი წინდა, 190 წყვილი ხელთათმანი, 133 წყვილი ქეჩის ფეხსაცმელი, 60 თბილი ქუდი, 35 დაბამბული. ხაშურში პირველი მაისის ქუჩაზე მცხოვრებმა დიასახლისებმა ნუშა მინაძემ თავდაცვის ფონდში შეიტანა 550 მანეთი, ლუბა გოგოლაძემ კი - 200 მანეთის ობლიგაციები, ვალენტინა მუმლაძემ, მატრონა თუთისანმა, ელვირა ციცქიშვილმა და სხვებმა ფრონტზე გასაგზავნად შეაგროვეს თბილი ტანსაცმელი. მოგვიანებით ხაშურელ ქალთა თავდადებულ შრომაზე ადგილობრივი გაზეთი წერდა:

„ხაშურის რაიონის მშრომელი ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ფრონტისადმი, წითელი არმიისადმი საყოველთაო-სახალხო დახმარებაში. კოლმეურნე ქალებმა, რომლებიც კოლმეურნეობაში გადამწყვეტ ძალად იქცნენ, მოგვცეს თავდადებული მუშაობის ნიმუშები, სამამულო ომის დაწყების შემდეგ რაიონის წარმოება-დაწესებულებებში და რკინიგზის კვანძზე სამუშაოდ მრავალი ათეული ქალი მოვიდა. დიასახლისებმა წარმოებაში შეცვალეს თავიანთი ქმრები და ძმები. ისინი მალე დაეუფლნენ რთულ საწარმოო სპეციალობებს და ახლა მათ ვხედავთ სტახანოველთა და ლუნინელთა რიგებშიც.

საბჭოთა ქალი არ კმაყოფილდება მიღწეულით. წითელი არმიის ძლევამოსილი წინსვლით აღფრთოვანებული საბჭოთა ქალები კიდევ უფრო აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას, ფაშიზმზე საბჭოთა სამშობლოს სრული და საბოლოო გამარჯვებისთვის აღაფრთოვანებდნენ თავიანთ ქმრებს, შვილებს და ძმებს ფრონტსა და ზურგში“. რკინიგზის კვანძის წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები აქტიურად ჩებნენ წითელი არმიის მებრძოლებისთვის საზამთრო თბილი ტანსაცმლისა და თეთრეულის დამზადებისა და გაგზავნის საქმეში. ენერგომომარაგების ხაშურის უბნის მუშა-მოსამსახურეებმა შეაგროვეს და გასაგზავნად ჩააბარეს 98 სვიტრი, 10 პერანგი, 9 ჯემპრი. საორთქლმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეებმა – 56 სვიტრი, 22 ზეწარი, 5 ბალიშის პირი, 12 თბილი ქუდი, ხელთათმანები, წინდები. სამასალე საწყობის თანამშორმლებმა შეაგროვეს შარვლები, 3 ტყავის ქურქი, 369 წყვილი ფეხსახვევი (ტოლაღები), 443 ქვედა და ზედა საცვალი, 43 ზედა და ქვედა თბილი საცვალი, 95 ლეიბის პირი, 103 ზეწარი, 844 ბალიშის პირი, 633 პირსახოცი, 3 მაზარა, 4 ადიელა, აგრეთვე სხვადასხვა სახის თბილი ტანსაცმილსა და თეთრეულის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

სისტემატური ხასიათი მიიღო ფრონტზე საჩუქრების გაგზავნამ. ხაშურელმა მშრომელებმა წითელი არმიის მებრძოლებისა და მეთაურებისთვის 1943 წლის ბოლოს, წინასაახალწლოდ გაგზავნილ საჩუქრებში იყო 2 ტონა ვაშლი, 108 კგ. ყველი, 908 კგ კომში. 73 კგ ჩირი. 352 კგ ხახვი, 70 კგ. კაკალი, 1190 კვერცხი, 585 ლიტრი ღვინო, 95 ლიტრი არაყი, აგრეთვე ბოსტნეული, ჩურჩხელები, ქართული პური, 93 წყვილი წინდა, ხელთათმანი, პირსახოცები და სხვა.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ბონდო ჩადუნელი ჯაჭვის პერანგებს საკუთარი ხელით ქსოვს

ქართული იარაღის მცველი და შემგროვებელი

ბონდო ჩადუნელი მეიარაღეა-ქართული ტრადიციული იარაღების ოსტატი, საბრძოლო აბჯრის-ჯაჭვის პერანგის მქსოველი, არაერთი სახალხო დრესასწაულის თუ თვითშემოქმედების ფესტივალის მონაწილე. ჩუმათელეთში, თავის სახლში, უჩვეულო საგამოფენო სივრცე აქვს მოწყობილი, რას აღარ ნახავთ აქ-ეთნოგრაფიულ ნივთებს, თვითნაკეთ და მისსივე ხელით აღდგენილ საბრძოლო იარაღს, ჯავშან-მუზარადს, ძველი ქართველი მეომრის სრულ აღჭურვილობას.

ამბობს, რომ ქართველი კაცი და იარაღი განუყოფელია, იარაღს პატივისცემა სჭირდება.

გულითადად მასპინძლობს მუზეუმის სანახავად მოსულ ყველა სტუმარს, გულმოდგინედ აცნობს ნამუშევრებს, არ ყიდის, პირიქით, ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ძველი ნივთი შეიძინოს და შემოინახოს.

- ბატონო ბონდო, რამ განაპირობა თქვენი განსაკუთრებული სიყვარული ლითონის მიმართ და რამ მოგცათ შთაგონება მეიარაღე გამხდარიყავით?

–დავიბადე დაბა სურამში, ჩუმათელეთში, ხალხით და ბუნებით ლამაზ მხარეში, ბავშვობიდან მიტაცებდა ჩხირკედელაობა. ერთხელ, სახლს რომ აშენებდა, მამამ რკინის არმატურა მოიტანა. ეს არმატურა დავჭერი, ხმლები გავაკეთე და ბავშვებს დავურიგე. ვბაძავდით გიორგი სააკაძეს, არსენას, ბაში-აჩუკს. დავიწყე მშვილდ-ისრების გაკეთებაც.

ჩემ მეზობლად ცხოვრობდა არჩილა პაპა(თივათელიძე), ჭკუის საკითხავი კაცი, მთელ რაიონში განთქმული მჭედელი, ნალების, გუთნების, სახნისების ოსტატი, მისი სამჭედლოდან ისმოდა ხმაური, ცვიოდა ცეცხლოვანი ნაპერწკლები. ვუყურებდი, როგორ გამოიკვეთებოდა წითელი რკინისგან ნალი, ცული, სახნისი-ეს ყველაფერი ზღაპარს ჰგავდა. აქედან დაედო საფუძველი ჩემ სიყვარულს ლითონის მიმართ.

დავამთავრე თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი, ლითონების დამუშავებისა და ტექნოლოგიების სპეციალობით. სხვადასხვა საამქროში ვმუშაობდი.

ჩემს ახალგაზრდობაში, ჭედური ხელოვნების ბუმი იყო. განთქმული ოსტატები იყვნენ კობა გურული და ირაკლი ოჩიაური. ესეც გახდა ჩემთვის შთაგონების წყარო, დავინტერესებულიყავი ტრადიციული საბრძოლო იარაღის დამზადებით. ვმოგზაურობდი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში-ხევსურეთში, კახეთში, , ძველ იარაღებს ვაკვირდებოდი, ვსწავლობდი, დამაინტერესა აბჯრის ქსოვამ და ტექნოლოგიებმა, შუბების კეთებამ.

- საბრძოლო ჯაჭვის აბჯრის პერანგის ქსოვა საკმაოდ რთული პროცესია, მყარ ნერვებს, დიდ დროს, საქმის სიყვარულს და ძალისხმევას მოითხოვს. დაახლოებით რა დროს ანდომებთ ერთი ჯაჭვის პერანგის დასრულებას?

–ძველად, თითოეულ მებრძოლს სახლში თავისი აბჯარი ჰქონდა. ძირითათად ქალები ქსოვდნენ, მამაკაცებს ამისთვის არ ეცალათ.

მაქვს პატარა სახელოსნო, დროს რომ ვნახულობ, ვქსოვ. ყოველდღე რომ ვქსოვო, დილიდან საღამომდე, აბჯრის სულქმნას ალბათ 2 თვე დასჭირდება. მე თვეობით ვქსოვ, დროის უქონლობის გამო. როგორც თუში ქალები დადიან ჯიბეში საქსოვით, დროს რომ არ კარგავენ, ისე მეც თან დამაქვს ინსტრუმენტი და მასალა. სადაც დროს ვნახავ, ნაწილ-ნაწილ ვკრეფ რგოლებს და ბოლოს ერთი-ორ დღეში ვკრავ, ვაწყობ ჯავშანს. ერთ აბჯარს დაახლოებით 15 000 რგოლი უნდა, მნიშვნელოვანია სიზუსტე.

- საკუთარ სახლში მინი მუზეუმის შექმნის იდეა როგორ ჩაისახა?

–თავიდან ჩემს ნამუშევრებს ყურადღებას არ ვაქცევდი, ზოგს ვკარგავდი, ზოგსაც ვჩუქნიდი, მერე დავიწყე გაფრთხილება და შეგროვება. ხელი მივყავი ძველი იარაღების, ფარების, ხმლების რესტავრაციას, ზოგს

მჩუქნიდნენ, ზოგსაც ვპოულობდი დაჟანგებულს. ბევრი მომიგროვდა.

ჩუმათელეთში, ჩემი სახლის პირველ სართულზე, სამუზეუმე სივრცე მოვაწყე. იქ განთავსებული ბუხრის დიზაინი, მუზეუმის სივრცეს ერწყმის, რომანტიკულია და ძველებურ სახეს ინახავს. ნაკეთობები სხვადასხვა დონეზე განვალაგე, ზოგიც კედელზე ჩამოვკიდე, სამწუხაროდ, ბევრს ვერ ვტევ, არასაკმარისი ფართის გამო.

-ალბათ, არიან ადამიანები, ვინც ამ საშვილიშვილო საქმეში გვერდში გიდგანან, დაგვისახელებთ?

–ამ მცირე მუზეუმის გაძლიერებაში დიდი წვლილი აქვს ჩემ მეგობარ იური ტაბატაძეს, კარგი ადამიანი და ვაჟკაცია, რაიონში განთქმული მჭედელი, ხაშურში ცხოვრობს. ერთად ვჭედავთ ხოლმე ხმლებს, ფარებს და სხვა იარაღებს, მასთან ერთად ვამზადებ იარაღს, მუზარადებს, სასურველ ფორმას ვაძლევთ, მერე მხატვრულად ვაფორმებ, მერე კი ჯაჭვის ნაქსოვს ვამაგრებ მუზარადზე, რომელმაც უნდა დაიცვას მხრები, ზურგი და სახე.

უნდა გავიხსენო ქართული იარაღის განთქმული ოსტატები, ჩემი მეგობრები, აწ განსვენებული არნოლდ თეთრუაშვილი, ზურაბ ბიჩიგაური და ზურაბ ჩირიკაშვილი, მათგან ბევრი რამ ვისწავლე.

ამჟამად ვმუშაობ თბილისის აეროპორტში, ნავიგაციაში, კავშირგაბმულობის ტექნიკის სპეციალისტად, კარგი თანამშრომლები მყავს, ვმეგობრობთ, ეამაყებათ და ახარებთ ჩემი საყვარელი საქმე-იარაღების დამზადება, ყოველმხრივ ხელს მიწყობენ, რომ ბევრის გაკეთება მოვასწრო.

- ახალგაზრდები, თქვენი მინი მუზეუმის მიმართ, რამდენად იჩენენ ინტერესს?

–ჩემთან მოსული ახალგაზრდები გულისყურით ათვალიერებენ ნივთებს, ფოტოებს იღებენ. მეც ვუხსნი, რაც საჭიროა-მათ ეს ახარებთ. უცხოელი ტურისტებიც მსტუმრობენ, მათ თვალწინ ჩენი ქვეყნის საბრძოლო ისტორიაც ცოცხლდება. მათთვის ეს ხელოვნება ეგზოტიკურია.

ერთი ნატვრა მაქვს-მინდა, ეს ყველაფერი მომავალ თაობას, ჩემს მხრეს, ჩემს ხალხს დარჩეს. ამ ექსპონანტებს უსასყიდლოდ გადავცემ რაიონს, თუ მუზეუმისთვის საჭირო საგამოფენო სივრცეს გამოყოფენ და ყველასათვის მისაწვდომ ექსპონატებად აქცევენ.

- თქვენს მუზეუმში, ჭედური ნაკეთობის გარდა, სხვა ისტორიულ ნაკეთობასაც ინახავთ?

მაქვს თიხის ნაწარმიც, ყანწებიც. ესენი ჩემი დამზადებული არ არის. ისტორიული დოქები მეგობარმა მაჩუქა. ასევე, მეგობარმა სიღნაღიდან ჩამომიტანა, გათხრების შედეგად ნაპოვნი, ძველი წყალგაყვანილობის მილის ნატეხი. ნიმუშია იმისა, რომ წყალგაყვანილობა იყო ერეკლე მეფის დროს. სიყვარულის ქალაქი რომ შენდებოდა, გათხრების დროს იპოვა მეგობარმა და მისახსოვრა.

ფერეიდანში მოგზაურობისას სოფელ ალჩეში ვნახეთ ქართული ეკლესიის ნანგრევები და წყარო, სადაც ქართველები ინათლებოდნენ, იმ ეკლესიის ნანგრევებიდან წამოვიღე აგურის ნატეხები, რომლებსაც ჩემს

(დასასრული IV გვერდზე)

ბონდო ჩადუნელი ჯაჭვის პერანგებს საკუთარი ხელით ქსოვს

(დასასრული)

მუზეუმში ვინახავ., როგორც წმინდათწმინდა, უნიკალურ ნივთს, იმის დასტურად, რომ ფუნდამენტალისტურ ირანში, ოთხი საუკუნის წინ, იძულებით გადასახლებულ ქართველებს, ქრისტიანული სამლოცველო ჰქონდათ.

- თქვენი საბრძოლო აღჭურვილობა პირველ ქართულ ბლოკბასტერში, ფილმ „ცხრა ძმაში“ როგორ მოხვდა?

–ფილმის წარმომადგენლები ჩემთან მოვიდნენ მამუკა ქაფიანიძის

რეკომენდაციით, ჩემგან წაიღეს მებრძოლის მთლიანი აღჭურვილობა: ხმალი, ხანჯალი, ფარი, აბჯარი, მუზარადი. კინოეპიზოდში ერთ-ერთმა ცნობილმა სპორტსმენმა მოირგო, მოგეხსენებათ, “ცხრა ძმაში” მსახიობებთან ერთად, ცნობილი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

- ოჯახის წევრები რამდენად არიან ჩართული თქვენს საქმიანობაში?

–სამი შვილი მყავს,ვაჟი ამერიკაში მუშაობს და სწავლობს. გოგონები თბილისში ცხოვრობენ, ახარებთ, ეამაყებათ ჩემი საქმე. ხელს მიწყობენ, რომ ჩემი ნამუშევრები გავაცნოთ ხალხს, ნაცნობ-მეგობრები მოჰყავთ.

მყავს სამი შვილიშვილი: 21 წლის გოგონა და ორი ბიჭი, 20 წლის და რვა წლის. ბიჭებს ჩემი საქმიანობა აინტერესებთ, თვალყურს ადევნებენ მუშაობის პროცესს, აკვირდებიან.

ჩემი მეუღლე, ქალბატონი დოდო, მუზეუმის გამგებელი და პირველი შემფასებელია. სტუმრები რომ იარაღს ადგილს შეუცვლიან, ფოტოებს გადაიღებენ და წავლენ,მერე დოდო ალაგებს,ყველაფერს თავის ადგილას დააბრუნებს და დარბაზი მწყობრში მოჰყავს. ამასთან, სტუმრებს უპატივცემულოდ ხომ არ გავუშვებთ? ყველაფერს მეუღლე აგვარებს.

-ათ წელზე მეტია, სახალხო დღესასწაულებში მონაწილეობთ, თქვენი ნაკეთობები რომელ გამოფენებზე მიგაქვთ?

–გამოფენებში მონაწილეობისკენ მეგობრებმა მიბიძგეს, ვმონაწილეობდი არტ-გენის ფესტივალზე. ნამუშევრები გამაქვს თბილისობაზე, მცხეთობაზე, ასევე ხაშურში შემოდგომის დღესასწაულებზე. ვმონაწილეობ ბაზალეთის ტბის პირას, ციხესიმაგრე “ოქროს აკვანში” მეიარაღეთა და ბაზიერთა ფესტივალზე. მისი მოთავე და სულისჩამდგმელი დავით ქაფიაშვილი თავის შოტლანდიელ მეუღლესთან ერთად,მათ დააფუძნეს სახალხო დღესასწაული,დროთა განმავლობაში იქცა ფესტივალად. ეროვნულ გმირებს ეძღვნება. დავითმა თავიდანვე ააშენა ბაზალეთის ტბასთან ზღაპრული ციხესიმაგრე.

ჩემი საბრძოლო იარაღები გამოიყენა მწერალმა და რეჟისორმა გურამ ქართველიშვილმა მხატვრულ-დოკუმენტური ციკლისთ-



ვის-“გააგრძელე საქართველოს ისტორია”.

- ბატონო ბონდო, 2016 წელს მონაწილეობდით ლეგენდარულ არტ-ტურში, ირანში, პროექტით, „ქართული ბიბლიოთეკა ფერეიდანში“. მოგზაურობიდან ყველაზე მძაფრად რა გახსენდებათ?

–ეს იყო დაუვიწყარი მოგზაურობა ჩემს ცხოვრებაში. ჩვენს ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ ახალგაზრდები ეთო ბეგლარიშვილი და ნათია ქიმაძე. გიდობას გვიწევდა ფერეიდნელი ქართველი ლექსო ქურდოვანიძე-თორელი. მასპინძლები თბილად და ორგანიზებულად დაგხვდნენ. ჯგუფის წევრები გაგვანაწილეს ოჯახებში, ფერეიდანის ქალაქ ფერეიდუნშაფრში(იგივე მარტყოფში) მწერალ მიხეილ ღანიაშვილთან და თამაზ ბერიძიაშვილთან ერთად, მოვხვდი ადგილობრივი მკვიდრის, დიდებული ქართველის, მაჰრამ ონიკაძის ოჯახში.

ერთხელ, შაჰრამანმა წაგვიყვანა გარეუბანში, განაპირა სოფლის დასათვალიერებლად, სადაც ნაკვეთი ჰქონდა. ჩვენს ბედზე, მარკეტთან გაჩერდა მანქანა, გადმოვიდნენ მხცოვანი ცოლ-ქმარი. კაცი ქართულად მოგვესალმა, გამარჯობაო, თქვა. იმ განაპირა სოფელში ქართული სიტყვის გაგონებისას, ლამის გული გამიჩერდა. შაჰრამანმა მითხრა, რომ ამ კაცმა ქართული ანბანის ძეგლი ააგო, ხუციშვილია გვარადო. ძველი ფერეიდნის შუაგულში აღმართეს, მაშინ ჩვენი ქართველები გამოვიდნენ და ქართველობა აჩვენესო. სამწუხაროდ, ეს ძეგლი დიდხანს არ შემორჩა, თურქეთის მთავრობამ აკრძალა.

ფერეიდნელებთან ვმეგობრობ, მათთან დიდ ვალში ვარ, ისეთი სითბო დამახვედრეს, სანამ ცოცხალი ვარ, ვეცდები, სიყვარულით დავუბრუნო. საქართველოში ჩამოსულ ფერეიდნელებს ჩემს ოჯახში ვმასპინძლობ ხოლმე.

- თქვენი ფერეიდნელი მასპინძელი, შაჰრან ონიკაძე, 2019 წელს ორ თანამემამულესთან ერთად, ირანიდან საქართველოში ფეხით ჩამოვიდა, ამაზეც გვიამბეთ.

–დიახ, სამი ლეგენდარული ფერეიდნელი ქართველი, შაჰრან ონიკაძე, ისმაილ რაჰინი(დავითაშვილი), ომიდ(ამირან) გოგონანი, ფეხით ჩამოვიდნენ ირანიდან საქართველოში, 31 დღეში გამოიარეს 1600 კილომეტრი, გზა, რომელიც ოთხი საუკუნის წინ, იძულებით განვლეს მათმა წინაპრებმა.

ხაშურის ბიბლიოთეკაში მოუწყეს შეხვედრა, ენათმეცნიერმა, პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ ჩამოიყვანა-ფერეიდნელების ერთგულმა მეგობარმა. მერე ქუთაისში, ბათუმში გეგმავდნენ გამგზავრებას. ვთხოვე და სურამში ვისტუმრე ჩემთან, მუზეუმი დაათვალიერეს, ფოტო და ვიდეომასალაც გადავიღეთ. გული დამწყდა, რომ ტარიელ ფუტკარაძე ასე უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან.

თუ შევძლებ, კვლავაც წავალ ფერეიდანში ჩემს ძმებთან უფრო დიდი ხნით, ჩემს ნამუშევრებსაც წავიღებ, რისი საშუალებაც იქნება, ფერეიდნელი მეგობრები სულით და გულით მეპატიჟებიან.

ნანა კობახიძე

გივი ხვედელიძე - 80

გივი ხვედელიძე: 80 წელი! თავიდანვე გიჩნდება სურვილი მიულოცო ეს საიუბილეო თარიღი ამაგდარ, ღვაწლმოსილ ადამიანს, ვისი ცხოვრებისა და საქმიანობის მთავარი მოტივი იყო ხალხის სიყვარული და თანადგომა, ზრუნვა მათი პრობლემების სასიკეთოდ მოგვარებისათვის. იგი თავად იყო ხალხის რჩეული.

საუკეთესო არჩევანი

გივი ხვედელიძე: ყოველთვის და ყველასათვის სამაგალითო, გამორჩეული პიროვნება იყო. ტრადიციული ქართული მშრომელი ოჯახის შვილი თავიდანვე ხალხის რიგში დგება, რიგითი მუშა ხდება და უშუალოდ, ახლოს იზიარებს ხალხის ინტერესებს. აქედან იწყება მისი საქმიანობის შესანიშნავი აღმავალი გზა, რომელმაც მას აღიარება, დაფასება და ხალხის სიყვარული მოუტანა.

ხაშურის ახალგაზრდული ორგანიზაციის პირველი მდივანი;
ხაშურის რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგე;
ამავე რაიონული კომიტეტის მდივანი;
ხაშურის რაიონის გამგებელი;
შიდა ქართლის რწმუნებულის (გუბერნატორის) მოადგილე;
ხაშურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი -
საქართველოს პარლამენტის წევრი!

ეს ტიტულები ერთი პიროვნებისათვის, რა თქმა უნდა, საამაყოა! ამასთან, არის აღიარების ერთი, გამორჩეული ხარისხი: ჭეშმარიტი ხაშურელი!

პირადად ჩემთვის, ყველა მისი მეგობრისათვის, გივი ხვედელიძე საუკეთესო მეგობარია! - ჩემს სიტყვებში რომ უფრო ღრმად დარწმუნდეთ, მოვუსმინოთ გივი ხვედელიძის მეგობრებს:

<u>აკადემიკოსი ზურაბ ცუცქირიძე:</u> გივი ხვედელიძე ჩვენი რეგიონის თვალსაჩინო მოღვაწეა. იგი არა მარტო თავის თაობაშია გამორჩეული: მაღალი ინტელექტი, მოქალაქეობრივი აქტივობა, პროფესიონალიზმი და რაც მთავარია, პიროვნული მომხიბვლელობა - ყოველივე ეს მომეტებულად მიუცია მისთვის განგებას და ამოტომაც არის გამორჩეული. მართვის გამოცდილებასთან ერთად, მას უხვად ჰქონდა ადამიანურ ინდივიდებთან ეფექტიანი კონტაქტების დამყარების უნარი და პერსპექტივის ხედვა. მან ეს წარმატებით შეძლო.

<u>ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მურად მთვარელიძე:</u> ბევრჯერ მითქვამს: ხელმძღვანელის ტაქტი, ხალხისადმი დამოკიდებულება, შინაგანი კულტურა, აკადემიურობა, საქმის გულთან მიტანის უნარია... ბატონი გივი ხვედელიძე ერთ-ერთი პირველთაგანია და ეს ხაშურელებს არ ავიწყდებათ! ის ყოველთვის იყო საქმისა და სიტყვის კაცი, ხაშურელი - მთელი თავისი ბუნებითა და შემართებით, რომელმაც კარგად იცოდა ადამიანის ფასი, ყოველმხრივ ცდილობდა ადამიანის ღირსება, ნიჭი და დამსახურება უყურადღბოდ არ დაეტოვებინა. ბატონი გივი ბრძენი ქართველი კაცია, ტრადიციების ერთგული გამგრძელებელი, დიდი და კარგი ოჯახის დიდებული წინამძღოლი, ჩინებული მეგობარი და თანამდგომი.

<u>ქარელის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ლილი მაზმიშვილი:</u> ბატონო გივი, მეამაყებოდა, რომ თქვენი სახით ვიცნობდი პიროვნებას, რომელიც ქართველი კაცის სიდინჯით და ნიჭიერებით უძღვებოდა საპასუხისმგებლო სფეროებს. ვისურვებდი საქართველოს გამთლიანების პროცესში თქვენი ფასდაუდებელი შრომითი გამოცდილების გამოყენებას. გისურვებ ჯანმრთელობას და დიდი ხნის ნაყოფიერ სიცოცხლეს თქვენი ოჯახის, რაიონის, რეგიონის საკეთილდღეოდ.

<u>მალხაზ ჭყოიძე:</u> მეამაყება, რომ შენ ჩემი მეგობარი ხარ და დიდი ავტორიტეტი გაქვს საზოგადოებაში, საძმო-სამეგობროში. ჩვენ ერთად გამოვიარეთ სკოლის პერიოდი, შემდგომშიც მხარდამხარ მოვდივართ. ვისურვებდი დიდხანს, დიდხანს გვევლოს ცხოვრების მართალ გზაზე ძმურად და მეგობრულად.

<u>იზო პაქსაშვილი:</u> გვაცოცხლებს ერთმანეთს მეგობრების არსებობა. 17 აგვისტო ჩემთვის ერთ-ერთი სასიხარულო დღეა. გივი, შენი არსებობით ვხარობთ და შენს ლამაზ წარსულსაც ვიგონებთ. შენი გაჭაღარავებული იზო, მეგობრებთან ერთად, გილოცავთ იუბილეს, გეხვევით, გკოცნით. არ მოგკლებოდეს უფლის წყალობა!

<u>პოეტი ჯემალ ინჯია:</u> ჩვენ ერთმანეთი გორში გავიცანით. მაშინ ის შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე იყო, მე კი საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილების ხელმძღვანელი. გივი კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის, სპორტის სფეროებს კურირებდა. მასთან თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა მქონდა, რომელიც მალე მეგობრობაში გადაიზარდა. გივიმ სწრაფად აუღო ალღო რეგიონის პრობლემებს. ვიცოდი, რომ გივი ხვედელიძე ავტოინჟინერი იყო, მაგრამ ისეთი ცხოვრებისეული გამოცდილება, პარტიულ-პოლიტიკური წრთობა ჰქონდა, რომ ადვილად ერკვეოდა რეგიონში მიმდინარე პროცესებში. მე მაოცებდა მისი კომპეტენტურობა, ალღოიანობა, ტაქტი, განსწავლულობა, რაც მის ყოველდღიურ საქმიანობაში, ადამიანებთან ურთიერთობაში მკაფიოდ ჩანდა. განსაკუთრებით პატივს სცემდა და აფასებდა შემოქმედებითი დარგის მუშაკთა ღვაწლსა და შრომას.

საგანგებო ხაზგასმა სჭირდება გივი ხვედელიძის სადეპუტატო მოღვაწეობას. ის იყო ხაშურელი ხალხის ღირსეული აჩევანი საქართველოს პარლამენტში. პრობლემები არ აკლდა ხაშურის რაიონს (მუნიციპალიტეტს). ყველა პრობლემა დეპუტატს გულთან ახლოს მიჰქონდა. საინტერესოა, რომ დეპუტატი არა მარტო წარმოაჩენდა, გაანალიზებდა პრობლემებს, უშუალოდ მონაწილეობდა მათ მოგვარებაში. საყურადღებოა, რომ გივი ხვედელიძე დღესაც აქტიურად მონაწილეობს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული

საკითხების პოზიტიურ რეგულირებაში. არის კომპეტენტური, საქმიანი დამრიგებელი, ეფექტური წინადადებების ავტორი. მას იწვევენ სასაუბროდ, იზიარებენ მის გამოცდილებას.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს უკრაინელ ხალხთან. ლესია უკრაინკას საზეიმო დღეები ხაშურელი და სურამელი მოსახლეობის სიამაყედ იქცა. გივი ხვედელიძე ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორია ამ დღეებისა, რომელთაც ახლა გასაგები ტკივილები ახლავს. ლესიაობასთან ერთად გაჩნდა ახალი სახალხო დღესასწაული ყიფიანობა, რომლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იგი იყო. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს გივი ხვედელიძის თვალსაჩინო უნარებზე ცხოვრების ყველა სფეროში. 80 წელი, რა თქმა უნდა, ბევრია, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ხანდაზმულ ასაკშიც ინაჩუნებენ ბუნებრივ ენერგიას, რისი საუკეთესო მაგალითიც გივი ხვედელიძეა!..

საზოგადოებრივი მოღვაწის, ხელმძღვანელის, პიროვნების - დამოკიდებულება მედიასთან, ურთიერთობა ჟურნალისტებთან - მისი შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია. გულწრფელად მინდა განვაცხადო: გივი ხვედელიძე - ხაშურის ახალგაზრდობის გამორჩეული, ავტორიტეტული ხელმძღვანელი - ნიშანდობლივად აფასებდა და პატივს სცემდა პრესას: ზედმიწევნით კარგად იცოდა ჟურნალისტიკისა და ჟურნალისტების ფასი. მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ხაშურის რაიონული გაზეთის რედაქციასთან. მედიისადმი დიდი სიყვარულის გამოხატულება იყო მისი ინიციატივით დაარსებული ახალგაზრდული ორგანიზაციის იუმორისტული გაზეთი, რომლის ერთ-ერთი ავტორი და რედაქტორი - დღესაც ვერ ვივიწყებ იმ შემოქმედებით სიუჟეტებს, რომელმაც მკითხველის ღიმილით სავსე ინტერესი გამოიწვია...

ახლა კი მე, ჟურნალისტი, სრულიად გულწრფელად, პროფესიული რწმენით ვაცხადებ: გივი ხვედელიძემ სახელმწიფოებრივი, პროფესიული საქმიანობის, ნაყოფიერი მოღვაწეობის საკმაოდ ვრცელი, შინაარსიანი გზა განვლო. ყველგან და ყოველთვის გამორჩეული პიროვნება იყო: გონიერი, განათლებული, პრინციპული და სამართლიანი ხელმძღვანელი; ხელისუფლების ნდობით აღჭურვილი თანამდებობის პირი, როგორც რაიონულ, ისე რეგიონულ, რესპუბლიკურ ასპარეზზე, ყოველთვის გამოირჩეოდა საქმისადმი, ხალხისადმი უდიდესი სიყვარულთ!

მე ხელს მოვაწერ ამ წერილს არა მხოლოდ ჩემი, არამედ გივი ხვედელიძის ყველა მეგობრის სახელით: გილოცავთ ადამიანების სიყვარულით გატარებულ 80 წელს! ვულოცავთ შენს ლამაზ ოჯახს! ვულოცავთ შენს ხაშურელებს: უფალს ვთხოვთ 90 და 100 წლის თავზეც მოგველოცოს შენთვის - საუკეთესო, ჭეშმარიტი ხაშურელის სახელი!

ვასილ მამულაშვილი

ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების მეცხრე საერთაშორისო ფესტივალზე ხაშურის მუნიციპალიტეტი საუკეთესოდ წარსდგა

ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ფრესკამ"–ხელმძღვანელები ელენე და გიორგი რატიანები, სამუსიკო სკოლის მევიოლინეთა ანსამბლმა–ხელმძღვანელი ფატი სადაღაშვილი და საოპერო მომღერალმა ლევან ტაბატაძემ, მაყურებელს თავიანთი შემოქმედება აჩვენეს და განსაკუთრებული ოვაციები დაიმსახურეს.

ბათუმის ხელოვნების ცენტრში გამართულ ფესტივალს ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

ღონისძიებაში, მუნიციპალური ანსამბლების ჩართვის ორგანიზატორი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური იყო.

აღნიშნული ფესტივალი, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის „ძლიერი რეგიონების კულტურული განვითარების ფარგლებში" ეწყობა, მისი დამაარსებელია სამხატვრო ხელმძღვანელი, იუნესკოს მშვიდობის არტისტი - ელისო ბოლქვაძე.

ღონისძიების მიზანი კი კულტურის მიმართულებით, რეგიონების წარმოჩენა და სამომავლოდ, საზღვარგარეთ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებაა.

შუშის ქარხნის დასახლებაში ბიბლიოთეკა გაიხსნა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი მინის ტარის დასახლებაში ბიბლიოთეკის გახსნის ღონისძიებას დაესწრნენ და შეკრებილებს ახალი შემეცნებით-საგანმამათლებლო სივრცის გახსნა მიულოცეს.

როგორც ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით განხორციელდა. მსგავსმა სივრცეებმა მრავალფუნქციური დატვირთვა შეიძინა

და ყველა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის ადამიანის ინტერესებზეა გათვლილი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

„შუშის ქარხნის დასახლებაში არსებული ბიბლიოთეკა ხელს შეუწყობს მეტი ინფორმაციის როგორც მიღებას,ისე გავრცელებასა და ცოდნის დონის ამაღლებას. აქ ადამიანებს შეუძლიათ ისარგებლონ როგორც წიგნით და ბეჭდური მედიით, ასევე ინტერნეტით. იმედი გვაქვს, ეს საჯარო სივრცე ყველასთვის საყვარელი ადგილი გახდება"- აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ.

ბიბლიოთეკის გახსნის ცერემონიას მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და ა(ა)იპ ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით მცირე ღონისძიებაც მოეწყო.

აღსანიშნავია,რომ შუშის ქარხნის დასახლებაში ბიბლიოთეკა 90 -იან წლებამდე არსებობდა.

ამჯერად კი არსებული სივრცის თანამედროვე სტანდარტებით მოწყობა განხორციელდა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 40 000 -მდე ლარი დაიხარჯა.

მუნიციპალიტეტის დაფინანსებით მოხდა საოფისე ინვენტარისა და ტექნიკის შეძენაც.

მნიშვნელოვანია, რომ ამიერიდან, მინის ტარის დასახლებაში, 2000-მდე ადგილობრივ მცხოვრებსა თუ სტუმარს, თანამედროვე კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ცენტრით სარგებლობა შესაძლებლობა ექნება.

- ღიმილნარევი სიმწარე -

„ენერგო-პროჯორჯიას" გენიალური მიგნება, რომელიც ათიათასობით ეკონომიას მისცემს ქვეყანას

თანამედროვეს საქართველოში, თითქმის ყოველდღიურად მედია საშუალებებით თუ პირად საუბრებში, გამუდმებით ისმის სინანულნარევი ფრაზები, რომ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერება მოკვდა, რომ გამომგონებლები, ფაქტობრივად, აღარ არიან და რომ ახალი ნოვაციები, რომლის ავტორები ქართველები იქნებიან, თითქმის აღარ არსებობს. არა, ბატონებო, არა! არ არის ასე და აგერ, ჩემი მაგალითიც საკმარისია ამის დასამტკიცებლად. მივყვეთ თანმიმდევრობით: ვცხოვრობ ბულბულისციხეში. დღეს წყლის, ელექტროენერგიის და გაზის გარეშე ვინაა და რა თმა უნდა, ეს სიკეთეები ჩემს ოჯახსაც აქვს. წყალსა და ბუნებრივ აირს თავი დავანებოთ და ელექტროენერგიაზე მინდა, მოგახსენოთ: ჩემს ბინაში ეს სიკეთე ღობესთან დაყენებული სპეციალური ელსადენის ბოძიდან შემომავალი ხაზიდან მოდიოდა. ეს ხის ბოძი 60 წლის წინ დააყენეს კეთილმა ბიძიებმა. ჰოდა, ამოეწურა საცოდავს სასიცოცხლო არსენალი და 2019 წელს ძალიან საეჭვოდ დაიწყო ბორძიკი. თითქმის მთლიანად დამპალი შველას ითხოვდა და მეც ხუთჯერ (ხაზს ვუსვამ ხუთჯერ) მივმართე „ენერგო-პროჯორჯიას". ხუთჯერვე დამამშვიდეს, ნუ გეშინია მაგი კიდევ კაიხანს გაძლებსო... ეჰ, ისე გაძლოს ჩვენმა დამაწყევარმა. უკვე პატარა ნიავის დროსაც, რომ მთვრალი კაცივით დაიწყო ქანაობა, კიდევ ერთხელ მივმართე ზემოხსენებულ პატივცემულ კომპანიას. კიდევ ერთხელ დამამშვიდეს. ცოტაც მოითმინე, ჯერ ბოძები არ გვაქვსო... იძულებული გავხდი,სამაშველო სამსახური გამომეძახებინა. მაშინ კი გამოჩნდნენ ელ-ქსელის მუშაკები და,როგორც იქნა,მოვაშორეთ ეს პენსიონერი ბოძი. დარჩა ელსადენი მიწაზე. რა უნდა გვექნა? ახალი ბოძი არ გვაქვს და არც ის ვიცით, როდის გვექნებაო. თუმცა, ინოვაციის ახალმა მეთოდმა და გამომგონებლობის გასაოცარმა ნიჭმა გზა გაიკვალა, გამოსავალიც მოიძებნა და ელსადენი ღობესთან მდგარ თუთის ხეს მიამაგრეს, აქედან გამოჭიმული კი ანტონოვკის ჯიშის ვაშლის ხეს და ასეა თითქმის ორი წელი. ჰა, როგორი ინოვაციაა? იმ იმერელის ცნობილი ფრაზის არ იყოს - კაი არის კაი,აბა,გლახა არის კაი? განვავრცოთ ეს გენიალური მიგნება მთელი ქვეყნის მასშტაბით და ხომ დაიზოგება ათიათასობით ლარი? მე თქვენ გეტყვით თუთის ხეები არ გვაქვს თუ ვაშლის.

ვარ ახლა ასე და შიშს ოთარ რამიშვილის მელოდიით ვიქარვებ: „თუთის ხესთან შეგამჩნიე დაკიდული, ქანაობდი და გაწყვეტას ლამობდი, ჟრუანტელი ამივლიდა, ჩამივლიდა, ვერ გშველოდი და შენსავით ვწვალობდი..."

ჯანდაბას ჩემი შიშები, ახლა მხოლოდ ის მინდა „ენერგო-პროჯორჯიას" ხელმძღვანელობამ წაახალისოს ეს გამომგონებლები და კაი ბელტივით პრემიები დაურიგოს თითოეულს. არ ეკუთვნით თუ? მანამდე კი ეგებ ბოძიც გამოჩნდეს ჰორიზონტზე.

მურმან გოლუბიანი,
სოფელი ბულბულისციხე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.